



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 21

27/05/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს თანხმობა, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის და ასპინძის ქუჩების კვეთაზე (ფართობი 5,00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი 62.09.54.028), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, პირობით, იჯარის ფორმით, სასყიდლით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩა N 26/24-ში რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს ლუიზა ლომიძეს (ს/ნ 47001010421).
2. ინდივიდუალურ მეწარმე ლუიზა ლომიძემ (ს/ნ 47001010421) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს სავაჭრო ჯიხურის განსათავსებლად.
3. საიჯარო ქირა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2019 წლის 11 მარტის №63 აუდიტორული დასკვნა), 1,00 კვადრატულ მეტრზე 4,00 (ოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 20,00 (ოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

